ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის

არქიტექტურის სამსახურს

შპს იმედი 2003-ის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს „იმედი - 2003“ თანახმაა შპს „თეგეტა მოტორსმა“ მოაწყოს ღობე, დადგას ჯიხური და შლანგბაუმი ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი #15-ში შპს „იმედი 2003“-ის ტერიტორიაზე ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში ატვირთული ფოტომონტაჟის შესაბამისად.

შპს „იმედი 2003“-ის დირექტორის
საშონ ხაკშურის ნდობით აღჭურვილი პირი

კახა ახვლედიანი პ/ნ 49001001844 17.02.2014 წ


მეტალის კუთხოვანის ღობე
კახეთის გზატკეცილი
თუნუქის ბადის ღობის მოწყობა
დაცვის ჯიხური 270X200
შლაგბაუმი
არსებულ ღობეზე
მავთულხლართის მოწყობა
4614700
4614650
4614600
4614550
2/ 1
1/ 1
4/ 1

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თოთხმეტი წლის თერთმეტ თებერვალს, მე, საქართველოს ნოტარიუსს *დავით იმნაძეს,* ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: *ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №55,* პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა შ.პ.ს "იმედი 2003"-ის დირექტორმა საშო ხაკშურმა (*ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 13.01.2012წ. განაცხადის ნომერი: 425568, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12004709, საიდენტიფიკაციო №206129928*), რომლის პირადობა დადგენილი მაქვს ჩემს სანოტარო ბიუროში დადასტურებული მოქმედებისას *(იჯარის ხელშეკრულებით დამოწმებული 05.02.2014წ. საქართველოს ნოტარიუსის დ. იმნაძის მიერ, რ. №140096674).* მან განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება *ისრაელში, ქ. ჰერცელიაში* და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს მინდობილობა და დაადასტუროს სანოტარო წესით (*სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის - მუხლი 52, პუნქტი 3.პუნქტი 4*).

- შ.პ.ს "იმედი 2003"-ის *(საიდენტიფიკაციო №206129928)* დირექტორის საშო ხაკშურის მოთხოვნით *წინამდებარე სანოტარო აქტი შედგა ქართულ და ინგლისურ* ენებზე მის მიერ არჩეული თარჯიმნის ალბინა ზოტოვას *(დაბ. 12.08.1986წ. თბილისში, პ. №01011040854, მის. თბილისი, ქეთევან წამებულის №84-86, ბ. 29, დიპლომი ISU №000036, გაც. 10.07.2008წ. სსიპ ილა ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ)* მონაწილეობით. მე, საქართველოს ნოტარიუსმა *დავით იმნაძემ* თარჯიმანი გავაფრთხილე, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე. თარჯიმანმა დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის *ინგლისური ენა* და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს (*სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მუხლი 24, I და III ნაწილი*).

მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა *ისრაელის მოქალაქის პასპორტის* მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად შ.პ.ს "იმედი 2003"-ის *(საიდენტიფიკაციო №206129928)* დირექტორმა საშო ხაკშურმა (დაბ. 23.11.1942წ. ირანში, ისრაელის მოქალაქის პასპორტი P ISR №20400076, პირადი №3-1376888-9, გაც. 12.07.2012წ. ჰერცლიაში) მომმართა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებდნენ: გიორგი ტაბატაძე *(დაბ. 08.04.1974წ. თბილისში, პ. №01011028979, მის. ქ. თბილისი, რუისის №8),* როგორც „მინდობილობის გამცემი"-ს ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და გიორგი გახელაძე *(დაბ. 24.09.1959წ. კასპში, პ. №24001005768, მის. კასპი, ს. ქვემო ჭალა),* როგორც მოწმე. ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, საქართველოს ნოტარიუსმა დავით იმნაძემ, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც შ.პ.ს "იმედი 2003"-ის *(საიდენტიფიკაციო №206129928)* დირექტორს საშო ხაკშურს *თარჯიმნის მონაწილეობით, ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით* გავაცანი შემდეგი შინაარსის *სანოტარო აქტი:*

მინდობილობა

„მინდობილობის გამცემი":

- შ.პ.ს "იმედი 2003"-ის *(საიდენტიფიკაციო №206129928)* დირექტორი საშო ხაკშური *(დაბ. 23.11.1942წ. ირანში, ისრაელის მოქალაქის პასპორტი P ISR №20400076, პირადი №3-1376888-9, გაც. 12.07.2012წ. ჰერცლიაში),*

„მინდობილობის მიმღებს":

– *კახა ახვლედიანს (დაბ. 15.04.1975წ. ცაგერში, პირადი №49001001844, მის. თბილისი, რუსთაველის გზატკ. №12-ვგ),*

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

- იყოს „მინდობილობის გამცემი"-ს წარმომადგენელი *ქ. თბილისის მერიაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო*

რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში და სხვა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში. „მინდობილობის გამცემი"-ს სახელით შეიტანოს და შეათანხმოს უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №15 (ნაკვეთი №1/55) – მშენებლობის პროექტი, ამასთან მიიღოს დამტკიცებული მშენებლობის პროექტი და მშენებლობის ნებართვა. აგრეთვე შეიტანოს განცხადება ზ/ა ნიშნული უძრავი ქონების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ და განახორციელოს ყველა მოქმედება, რაც საჭირო იქნება უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის. ზ/ა ნიშნულთან დაკავშირებით შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია „მინდობილობის გამცემის" მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით და ძალაშია 2019 წლის 11 თებერვლის ჩათვლით. წინამდებარე მინდობილობა ძალაში შედის ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, საქართველოს ნოტარიუსმა დავით იმნაძემ, ომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე *მინდობილობის გამცემს, მინდობილობის ამცემმა* დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ ნდობილობის შედგენისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა ახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობაზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს ორგი ტაბატაძეს.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია *ქართულ და ინგლისურ ენებზე ოთხ ანაბარძნიშნელოვან* ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება საქართველოს ნოტარიუსის ავით იმნაძის სანოტარო არქივში, ხოლო სამი გადაეცა მხარეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (50.00) ორმოცდაათი ლარი, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 32-ე მუხლისა.* პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.* სულ (52,00) ორმოცდათორმეტი ლარი.

მინდობილობის გამცემი: შ.პ.ს "იმედი 2003"-ის დირექტორი საშო ხაკშური
ელმოწერი: გიორგი ტაბატაძე

ოწმე: გიორგი გახელაძე

არჯიმანი:

ნოტარიუსი დ. იმნაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

98977082436614

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140115633

რეგისტრაციის თარიღი

11.02.2014 წ

ნოტარიუსი: დავით იმნაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქ. 55
ტელეფონი: 272 19 18

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18